

899.962-1

2-278

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მანიჭაშვილი ირინა

XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული
დრამატურგიის ძირითადი ტენდენციები

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაკრებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ თ რ ე უ ე რ ა ტ ი

თბილისი
2002

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – მიშველაძე რევაზ
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. სიგუა სოსო
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. მილორავა ინგა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2002 წლის „29“ ივნის „15 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (P10.01.№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე


მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2002 წლის „27“ „მაის“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი


/ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული დრამატურგია ჯერჯერობით არ ქცეულა საგანგებო მეცნიერული შესწავლის საგნად. იწერებოდა მხოლოდ ცალკეული სტატიები თუ რეცენზიები. 80-90-იანი წლების პერიოდით ჩვენი დაინტერესება განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა: 80-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ, დრამატურგიაშიც შეინიშნება დაძლევა ე.წ. „უკონფლიქტობის თეორიისა“ და „საბჭოთა მოქალაქისთვის“ დამახასიათებელი პათეტიკური ტონისა. მნიშვნელოვანია მოცემული პერიოდის დრამატურგიაში თანამედროვე სულისკვეთების გადმოცემა. ყალბი სქემატურობისგან თავისუფალი პიესა უფრო ნათლად წარმოაჩენს ავტორის იდეურ კონცეფციას და მიზანდასახულებას. თანამედროვე ქართული დრამატურგიის მეცნიერული ანალიზი და მისი ძირითადი ტენდენციების კვლევა, ვფიქრობთ, აქტუალურია უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის.

კვლევის საგანი და მიზანი. ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს XX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული დრამატურგიის ძირითადი ტენდენციები. კვლევის საგანია დრამის სპეციფიკური ბუნების სიღრმისეულად წვდომა, პიესის ჟანრობრივი დაყოფის საფუძველზე თანამედროვე დრამატურგიაში მიმდინარე პროცესების შესწავლა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. ნაშრომი თანამედროვე ქართული დრამატურგიის შესწავლის პირველი მცდელობაა. ათი ავტორის პიესათა იდეურ-მხატვრული ანალიზის, მსოფლმხედველობრივი ასპექტების ჩვენებისა და დრამის სპეციფიკური ბუნების გათვალისწინების საფუძველზე წარმოჩინდა მოცემული პერიოდის ქართული დრამატურგიის ძირითადი ტენდენციები. 80-90-იან წლებში შექმნილი პიესები აბსოლუტურ შესაბამისობაშია ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ ატმოსფეროსთან.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციაზე. სადისერტაციო ნაშრომი